

## 10 რჩევა ავტომობილის ეკო-მართვისათვის

1. ავტომობილის შეძენისას აუცილებელია გაითვალისწინოთ ძრავის ეკონომიური მახასიათებლები, ავტომობილის ზომა უნდა ემთხვეოდეს თქვენს მოთხოვნებს.

2. წინასწარ დაგეგმეთ თქვენი მგზავრობა, მგზავრობის მარშრუტის რაციონალური დაგეგმა საშუალებას მოგცემთ მიაღწიოთ დანიშნულების ადგილს რაც შეიძლება სწრაფად და მარტივად, აქედან გამომდინარე, შეამცირებთ ავტომობილის საწვავის ხარჯს.

3. რეგულარულად მიადევნეთ თვალყური წნევას საბურავებში, ოპტიმალური წნევა ამცირებს გორვისას წარმოქმნილ ხახუნის წინააღმდეგობას და შესაბამისად ამცირებს საწვავის ხარჯსაც. მაგალითად, საბურავებში რეკომენდირებულზე **0.5 კგ/სმ<sup>2</sup> (50 კგ)** ნაკლები წნევისას ქალაქის პირობებში საწვავის ხარჯი იზრდება **2%-ით**, ხოლო ქალაქგარეთ **4%-ით**.

4. არ დატვირთოთ ავტომობილი დასაშვებზე მეტად, რადგან დამატებითი წონა ზრდის საწვავის ხარჯს. საშუალო კლასის ავტომობილისათვის ყოველი ზედმეტი **100 კგ** ტვირთი იწვევს საწვავის ხარჯის საშუალოდ **6%-ით** ზრდას.

5. შეეცადეთ არ გამოიყენოთ სახურავზე დამაგრებული საბარგული, სახურავზე დამაგრებული საბარგული ზრდის ჰაერის წინააღმდეგობას. თანამედროვე ავტომობილები იქმნება აეროდინამიკის კანონების გათვალისწინებით. სახურავზე დამაგრებულ საბარგულს შეუძლია **20%-ით** გაზარდოს საწვავის ხარჯი.

6. თანამედროვე ავტომობილების ძრავებს არ სჭირდებათ გათბობა-გახურება დაძვრის წინ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გარემოს ტემპერატურა მნიშვნელოვნად დაბალია.

7. კონდიციონერი გამოიყენეთ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში. გაანიავეთ ავტომობილი კონდიციონერის ჩართვამდე შეეცადეთ არ დააყენოთ ავტომობილის კონდიციონერის სისტემა ძალიან დაბალ თემპერატურაზე, რადგან ამ დროს ავტომობილის ძრავის მნიშვნელოვანი ნაწილი კონდიციონერს ხმარდება და შესაბამისად მნიშვნელოვნად იზრდება საწვავის მოხმარებაც.

8. ავტომობილის სიჩქარეს მოუმატეთ მდორედ, არააგრესიულად და შეეცადეთ შეინარჩუნოთ მუდმივი სიჩქარე. ავტომობილის ნარნარად მართვისას იხარჯება ნაკლები საწვავი, დამართო ავტომობილი ნელა, არააგრესიულად. სიჩქარის 20 კმ/სთ-ით ცვლილება 5 წამში საწვავის ხარჯს 11%-ით ამცირებს, და შეეცადეთ არ გაზარდოთ მკვეთრად სიჩქარე.

9. დადმართზე მოძრაობისას გამოიყენეთ ძრავით დამუხრუჭება. ძრავით დამუხრუჭება ზრდის ავტომობილის ეკონომიურობას. შენელებისას აქსელერატორის საფეხურიდან ფეხის აღება წყვეტს საწვავის მიწოდებას, რაც დამატებით 2%-ით ამცირებს საწვავის ხარჯს, ძრავით დამუხრუჭება ამცირებს სამუხრუჭე ხუნდების ცვეთასაც.

10. ნუ ამუშავებთ ძრავს დიდხანს უქმად, როდესაც ავტომობილის ძრავი მუშაობს უქმი სვლის რეჟიმში, ის მაინც მოიხმარს საწვავს. ძრავი, რომელიც უქმად ერთ წუთზე მეტ ხანს მუშაობს, ხარჯავს იმაზე მეტ საწვავს, რაც მის ასამუშავებლად საჭირო.



ეეც.ჯაუ